

ინდივიდის მიერ გადმოცემული ამბავი უკრაინიდან თავშესაფრის მაძიებლების მისაღებად

13 აპრილს, პროექტის „ინტეგრირებული ქალაქების ევროპული პლატფორმა“ პარტნიორები (EPIC) და გარე აქტორები შეიკრიბნენ ამავე პროექტის მესამე ვებინარზე: „გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილებიდან ეფექტურ და გრძელვადიან რეაგირებამდე: ინდივიდის მიერ გადმოცემული ამბავი უკრაინიდან თავშესაფრის მაძიებლების მისაღებად“. ვებინარის განმავლობაში მონაწილეებმა მოუსმინეს და ისაუბრეს აქტივისტებთან, განიხილეს დეზინფორმაციული ამბების გავლენა და ეფექტური და გრძელვადიანი რეაგირების საჭიროება.

კატერინა რუსეცკაიამ, აქტივისტმა დნიპროდან, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს პროექტის „ინტეგრირებული ქალაქების ევროპული პლატფორმა“ პარტნიორთან (Kultur im Turm), ისაუბრა თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწორი სიტყვის შერჩევა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას. "ეს არ არის კონფლიქტი, ეს არ არის პუტინის ომი, ეს არის ნამდვილი ომი" - განაცხადა რუსეცკაიამ. მან ვერ შეძლო ემოციებისა და ბრაზის გარეშე ესაუბრა უკრაინელი ხალხის ტკივილსა და ტანჯვაზე.

ამასთანავე, პოლონეთში მცხოვრებმა უკრაინელმა აქტივისტმა, **იულია კრიჩივმა**, ყურადღება გაამახვილა სწორი ლექსიკის გამოყენებაზე უკრაინის ომზე საუბრისას. კრიჩივის თქმით, ეს არის „იმპერიული და კოლონიური ომი“, როგორც მოხდა, ეგრეთ წოდებულ „პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც რეალურად პოსტკოლონიალური ქვეყნებია“.

„ინფორმაციის ნაკლებობის გამო შეუძლებელია თავი მშვიდად და ძლიერად იგრძნო,“ - ჰანია ჰაკიელი

ფსიქოთერაპევტი და ლტოლვილთა ტრავმის სფეროში მომუშავე, ჰანია ჰაკიელი, გახლდათ შეხვედრის ბოლო გამომსვლელი. მისი თქმით, ინფორმაციის ნაკლებობის გამო შეუძლებელია თავი მშვიდად და ძლიერად იგრძნო, ამდენად ლტოლვილებზე მხოლოდ საგანგებო სიტუაციების დროს ვსაუბრობთ. გარდა ამისა, ქალბატონმა ჰაკიელმა გააანალიზა დამოკიდებულება იმ ადამიანებისა, რომლებსაც უწევთ მათთან მუშაობა და მათი დახმარება - ისინი ლტოლვილებისგან ელოდებიან მაღლიერების გრძნობის გამოხატვას და არც კი აცნობიერებენ იმას, რომ ამით შეიძლება შეიქმნას დისბალანსი ადამიანთა ურთიერთობებს შორის.

სტუმრების გამოსვლების შემდეგ, პროექტის „ინტეგრირებული ქალაქების ევროპული პლატფორმა“ (EPIC) პარტნიორები ჩაერთვნენ დისკუსიაში და განმარტეს, როგორ ხვდებიან და იღებენ ლტოლვილებს . განიხილეს თანამშრომლობისა და ერთობლივი მხარდაჭერის ნაკლებობა სახელმწიფო დაწესებულებსა და სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ასევე, კერძო და არაკომერციულ ორგანიზაციებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, გაჟღერდა ისიც, თუ როგორ დაჰპირდნენ უკრაინელებს დასავლეთ ევროპამდე მიღწევას, თავშესაფარს და შრომის ბაზარზე წვდომას, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ დაპირების შესრულება რთული იყო, რადგან ახალ ქვეყანაში დასახლება საკმაოდ პრობლემატურია. ამის გათვალისწინებით, პროექტის „ინტეგრირებული ქალაქების ევროპული პლატფორმა“ (EPIC) პარტნიორები მუდმივად მუშაობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ უკრაინელებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და ჰქონდეთ წვდომა აუცილებელ საჯარო სერვისებზე, მაგრამ ამ ყველაფრის გასაკეთებლად საჭიროა სწორი ინფორმირებულობა.

ვებინარი დასრულდა აუდიტორიის და პარტნიორების მიერ გაჟღერებული კითხვა-პასუხით. შეთანხმებისამებრ, ამ საკითხზე დასკვნა არ გაკეთებულა, რადგან ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ამ ვებინარმა უფრო ნათლად აჩვენა რეალური ინფორმაციების გათვალისწინების მნიშვნელობა, მაშინ როდესაც საქმე ეხება ლტოლვილების მიღებას.